

საქართველოს პრეზიდენტმა ეუთოს გენერალური მდივანი ტომას გრემინგერი მიიღო

✘ გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ეუთოს გენერალურ მდივანთან ტომას გრემინგერთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა განიხილეს ეუთოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები და ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე, უსაფრთხოების პრობლემატიკასა და ეუთოს ჩართულობაზე ამ პროცესებში.

საქართველოს პრეზიდენტმა ეუთოს გენერალურ მდივანს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე პროცესების შესახებ. პრეზიდენტმა ეუთოს გენერალურ მდივანთან ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და ამ პროცესებში ეუთოს ჩართულობის საკითხები განიხილა.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს პრობლემატიკა ეუთოს დღის წესრიგში მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოდგენილი. ეუთოს გენერალურმა მდივანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ეუთოს სხვადასხვა მისიებში საქართველოს ჩართულობისათვის.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ტომას გრემინგერმა განაცხადა, ვიზიტის შედეგად იგი კარგად გაეცნო იმ სირთულეებს, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას.

„პირველი, მსურდა, რომ მადლობა გადამეხადა საქართველოს მხარდაჭერისათვის ეუთოში მიმდინარე რეფორმებში, ეუთოს ოპერაციებსა და ეუთო-ს სტრუქტურული დიპლომატიის აქტიური ჩართულობისათვის. მინდოდა პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი დარწმუნება, რომ ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმირების

ფარგლებში. ჩამოვედი, რათა აღმოვაჩინო საქართველოს – ეუთოს ურთიერთობის უფრო მეტად გაღრმავების, გაძვირებისა და გაფართოების შესაძლებლობები“, – აღნიშნა ტომას გრემინგერმა.

ეუთოს გენერალური მდივანი თბილისს გვიან ღამით ეწვია. ამ რანგში საქართველოში ეს მისი პირველი ვიზიტია.